საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>მანუჩარ კაკოჩაშვილი</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 01.09.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს მიხეილ ჯინჯოლია კანდიდატურა?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის მიხეილ ჯინჯოლიას კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1 სექტემბერი, 2025 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/164 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. საბჭოს 2025 წლის №1/22 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა მიხეილ ჯინჯოლიაც.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტისა და 34[1] მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, კანდიდატთან დაკავშირებული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამი შეადგენს 1085 ქულას, რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის 90,42%. ხოლო კეთილსინდისიერების კრიტერიუმით 12 წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

მასთან ჩატარებული გასაუბრებისა და მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მიღებული შთაბეჭდილებების, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებების ანალიზის საფუძველზე, მიმაჩნია რომ, მიხეილ ჯინჯოლიას გააჩნია სამოსამართლო საქმიანობის წარმატებით და პროდუქტიულად განხორციელებისათვის აუცილებელი როგორც პიროვნული, ისე პროფესიული თვისებები და უნარები.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 5 აგვისტოს №1/85 განკარგულებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა ერთი კანდიდატი - მიხეილ ჯინჯოლია.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, შეფასების შედეგების ანალიზისა და გასაუბრების საფუძველზე, მივიღე გადაწყვეტილება მხარი დავუჭირო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე არჩევის მიზნით, საქართველოს პარლამენტისათვის მიხეილ ჯინჯოლიას კანდიდატურის წარდგენის გადაწყვეტილებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

მანუჩარ კაკოჩაშვილი